2023 წლის პროექტები	პროექტი #4	პროექტი #18	პროექტი #20	პროექტი #21	პროექტი #22	პროექტი #24	პროექტი #26	პროექტი #27	პროექტი #32	პროექტი #33	პროექტი #34
დღემდე აღიარებული შემოსავალი სამშენებლო კონტრაქტებიდან	6,950,990	2,977,515	3,149,753	2,590,601	387,420	511,521	1,725,081	651,687	517,493	330,709	755,886
აღიარებული წინა პერიოდებში	6,377,856	2,513,354	21,092	2,234,342	371,509	498,191	449,109	227,248	-	-	-
წლის შემოსავალი სამშენებლო კონტრაქტებიდან	**573,134**	**464,161**	**3,128,661**	**356,259**	**15,911**	**13,330**	**1,275,972**	**424,439**	**517,493**	**330,709**	**755,886**
დღემდე აღიარებული სამშენებლო კონტრაქტების ხარჯები	6,006,041	2,494,218	2,303,467	2,176,151	330,186	436,928	1,317,159	504,900	378,011	241,572	552,149
შემცირებული: აღიარებული წინა პერიოდებში	5,587,356	2,155,164	18,086	1,915,915	318,563	427,191	385,104	194,861	-	-	-
წლის ხარჯები სამშენებლო კონტრაქტებზე	**418,655**	**339,054**	**2,285,381**	**260,235**	**11,622**	**9,737**	**932,055**	**310,039**	**378,011**	**241,572**	**552,149**
დღემდე აღიარებული სამშენებლო კონტრაქტების ხარჯები	6,006,041	2,494,218	2,303,467	2,176,151	330,964	436,928	1,317,159	504,900	378,011	241,572	552,149
საანგარიშგებო პერიოდამდე აღიარებული მოგება	**944,949**	**483,297**	**846,286**	**414,451**	**57,234**	**74,592**	**407,922**	**146,787**	**139,482**	**89,137**	**203,737**
დღემდე აღიარებული შემოსავალი სამშენებლო კონტრაქტებიდან	6,950,990	2,977,515	3,149,753	2,590,601	387,420	511,521	1,725,081	651,687	517,493	330,709	755,886
შემცირება: მიღებული ფულადი გადახდებით	(6,751,184))	(2,893,862)	(3,108,977)	(2,542,760	(387,420)	(496,431)	(1,674,191)	(632,462)	(502,227)	(320,953)	(63,940)
დღგ განაკვეთი	18%	18%	18%	18%	18%	18%	18%	18%	18%	18%	18%
საკონტრაქტო მოთხოვნა	**199,806**	**83,653**	**40,775**	**47,842**	**-**	**15,090**	**50,890**	**19,225**	**15,226**	**9,756**	**691,946**
საკონტრაქტო ვალდებულება	**-**	**-**									
პროექტის დასრულების სტადია	98%	100%	71%	100%	100%	96%	100%	84%	100%	99%	50%

შპს „საგზაო სამშენებლო სამმართველო N1“
ფინანსური ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ქართულ ლარში

2023 წლის პროექტები (გაგრძელება)	პროექტი #35	პროექტი #36	პროექტი #37	პროექტი #38	პროექტი #39	პროექტი #40	პროექტი #41	პროექტი #42	პროექტი #43	პროექტი #44	პროექტი #45	პროექტი #46	სულ:
დღემდე აღიარებული შემოსავალი სამშენებლო კონტრაქტებიდან	1,016,917	423,720	1,091,423	61,530	625,350	636,337	432,117	637,269	1,394,885	606,354	841,798	3,139,685	**31,456,043**
აღიარებული წინა პერიოდებში	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	**12,692,701**
წლის შემოსავალი კონტრაქტებიდან	**1,016,917**	**423,720**	**1,091,423**	**61,530**	**625,350**	**636,337**	**432,117**	**637,269**	**1,394,885**	**606,354**	**841,798**	**3,139,685**	**18,763,342**
დღემდე აღიარებული სამშენებლო კონტრაქტების ხარჯები	742,824	309,513	797,247	44,946	456,797	464,823	315,647	465,504	1,018,916	442,921	614,905	2,293,434	**24,708,260**
აღიარებული წინა პერიოდებში	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	**11,002,240**
წლის ხარჯები სამშენებლო კონტრაქტებზე	742,824	309,513	797,247	44,946	456,797	464,823	315,647	465,504	1,018,916	442,921	614,905	2,293,434	**13,705,988**
დღემდე აღიარებული სამშენებლო კონტრაქტების ხარჯები	742,824	309,513	797,247	44,946	456,797	464,823	315,647	465,504	1,018,916	442,921	614,905	2,293,434	**24,709,037**
საანგარიშგებო პერიოდამდე აღიარებული მოგება	**274,094**	**114,207**	**294,175**	**16,585**	**168,553**	**171,514**	**116,470**	**171,766**	**375,968**	**163,433**	**226,893**	**846,251**	**6,747,783**
დღემდე აღიარებული შემოსავალი სამშენებლო კონტრაქტებიდან	1,016,917	423,720	1,091,423	61,530	625,350	636,337	432,117	637,269	1,394,885	606,354	841,798	3,139,685	**31,456,041**
შემცირება: მიღებული ფულადი გადახდებით	(1,016,917)	(423,720)	(1,059,226)	(59,125)	(606,902)	(617,566)	(419,370)	(618,470)	(1,312,586)	(588,467)	(792,132)	(2,781,505)	**(20,376,449)**
დღგ განაკვეთი	18%	18%	18%	18%	18%	18%	18%	18%	18%	18%	18%	18%	-
საკონტრაქტო მოთხოვნა	**-**	**-**	**32,197**	**2,405**	**18,448**	**18,772**	**12,747**	**18,799**	**82,298**	**17,887**	**49,666**	**358,180**	**1,785,608**
საკონტრაქტო ვალდებულება	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
პროექტის დასრულების სტადია	100%	100%	98%	100%	100%	100%	98%	69%	75%	99%	100%	100%	-

5. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2024	2023
თანამშრომელთა ხელფასები და სხვა სარგებელი	1,797,270	1,386,897
შეკეთებისა და მოვლის ხარჯები, არაპირდაპირი	451,822	245,263
საკონსულტაციო და პროფესიული მომსახურება	141,114	98,436
კომუნალური გადასახადები	32,510	89,132
იურიდიული მომსახურების ხარჯი	614	234
ქონების დაზღვევის ხარჯი	5,560	5,812
ცვეთა და ამორტიზაცია	-	14,945
ბანკის მომსახურების ხარჯი	155,514	119,276
გადასახადები მოგების გარდა	-	3,416
სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	44,006	68,225
სულ	**2,628,410**	**2,031,636**

6. მოგების გადასახადის ხარჯი

მოგების გადასახადის ხარჯმა 2024 წლის განმავლობაში შეადგინა 347,425 ლარი (2023: 160,165 ლარი), ხოლო მთლიანად განაწილებული დივიდენდების თანხამ 3,320,118 ლარი (2023: 2,858,345 ლარი).

2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა საქართველოს საგადასახადო კოდექსში მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომლებიც ძირითადად ეხება მოგების გადასახადით დაბეგვრას. სხვა დაბეგვრის რეჟიმებთან ერთად, ცვლილებებში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პუნქტი არის ის, რომ დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება და რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან.

7. ძირითადი საშუალებები

	მიწა	შენობა-ნაგებობები	მანქანა-დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
თვითღირებულება						
2023 წლის 1 იანვარი	**270,940**	**254,201**	**2,376,472**	**84,849**	**8,374,988**	**11,361,450**
შეძენა	-	-	359,065	5,916	297,258	**662,239**
ჩამოწერა	-	-	-	(2,750)	-	**(2,750)**
2023 წლის 31 დეკემბერი	**270,940**	**254,201**	**2,735,537**	**88,015**	**8,672,246**	**12,020,939**
შეძენა	-	11,735	53,071	9,925	1,766,386	**1,841,117**
ჩამოწერა	-	-	-	-	(335,848)	**(335,848)**
2024 წლის 31 დეკემბერი	**270,940**	**265,936**	**2,788,608**	**97,940**	**10,102,784**	**13,526,208**
აკუმულირებული ცვეთა						
2023 წლის 1 იანვარი	**-**	**(112,760)**	**(1,496,695)**	**(62,632)**	**(6,136,827)**	**(7,808,914)**
ცვეთა	-	(7,765)	(81,627)	(4,578)	(459,313)	**(553,283)**
ჩამოწრილი ძირითადი საშუალების ცვეთა	**-**	-	-	-	-	**-**
2023 წლის 31 დეკემბერი	**-**	**(120,525)**	**(1,578,322)**	**(67,210)**	**(6,596,140)**	**(8,362,197)**
ცვეთა	-	(16,342)	(93,027)	(4,985)	(339,063)	**(453,417)**
ჩამოწრილი ძირითადი საშუალების ცვეთა	-	-	-	-	(4,002)	**(4,002)**
2024 წლის 31 დეკემბერი	**-**	**(136,867)**	**(1,671,349)**	**(72,195)**	**(6,939,205)**	**(8,819,616)**
წმინდა საბალანსო ღირებულება						
2023 წლის 1 იანვარი	**270,940**	**141,441**	**879,777**	**22,217**	**2,238,161**	**3,552,536**
2023 წლის 31 დეკემბერი	**270,940**	**133,676**	**1,157,215**	**20,805**	**2,076,106**	**3,658,742**
2024 წლის 31 დეკემბერი	**270,940**	**129,069**	**1,117,259**	**25,745**	**3,163,579**	**4,706,592**

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ბალანსზე არ ფიქსირდება სრულად ამორტიზებული ძირითადი საშუალებები.

8. საინვესტიციო ქონება

	საინვესტიციო ქონება	სულ
თვითღირებულება		
2023 წლის 1 იანვარი	**275,216**	**275,216**
შეძენა	-	-
გასვლა/გაყიდვა	-	-
2023 წლის 31 დეკემბერი	**275,216**	**275,216**
შეძენა	-	-
გასვლა/გაყიდვა	-	-
2024 წლის 31 დეკემბერი	**275,216**	**275,216**
აკუმულირებული ცვეთა		
2023 წლის 1 იანვარი	**(90,781)**	**(90,781)**
ცვეთა	(9,162)	(9,162)
2023 წლის 31 დეკემბერი	**(99,943)**	**(99,943)**
ცვეთა	(8,704)	(8,704)
2024 წლის 31 დეკემბერი	**(108,647)**	**(108,647)**
წმინდა საბალანსო ღირებულება		
2023წლის 1 იანვარი	**184,435**	**184,435**
2023 წლის 31 დეკემბერი	**175,273**	**175,273**
2024 წლის 31 დეკემბერი	**166,569**	**166,569**

შენობა განლაგებულია შემდეგ მისამართზე: ქ.გორი, ცხინვალის გზატკეცილი (სავაჭრო ცენტრი) მე-2 კმ.შენობის მთლიანი ფართი შეადგენს 727 მ2-ს, საიდანაც 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გაქირავებული იყო 395მ^2. 2024 წელს აღნიშნული ქონების გაქირავებით მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 35,000 ლარი (2023: 35,000).

9. არამატერიალური აქტივები

	ლიცენზია	სხვა არამატერიალური აქტივები	სულ
ისტორიული ღირებულება			
2023 წლის 1 იანვარი	**151,414**	**3,355**	**154,769**
შეძენა	-	-	-
გასვლა/გაყიდვა	-	-	-
2023 წლის 31 დეკემბერი	**151,414**	**3,355**	**154,769**
შეძენა	-	-	-
გასვლა/გაყიდვა	-	-	-
2024 წლის 31 დეკემბერი	**151,414**	**3,355**	**154,769**
აკუმულირებული ამორტიზაცია			
2023 წლის 1 იანვარი	**(113,416)**	**(2,799)**	**(116,215)**
ამორტიზაცია	(5,700)	(84)	(5,784)
2023 წლის 31 დეკემბერი	**(119,116)**	**(2,883)**	**(121,999)**
ამორტიზაცია	(4,845)	(71)	(4,916)
2024 წლის 31 დეკემბერი	**(123,961)**	**(2,954)**	**(126,915)**
წმინდა საბალანსო ღირებულება			

2023 წლის 1 იანვარი	**37,998**	**556**	**38,554**
2023 წლის 31 დეკემბერი	**32,298**	**472**	**32,770**
2024 წლის 31 დეკემბერი	**27,453**	**401**	**27,854**

10. მარაგები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ნედლეული	676,727	1,419,769
დაუმთავრებელი წარმოება	50,574	82,939
მზა პროდუქცია	280,116	143,701
საწვავი და საპოხი მასალები	35,192	38,270
სხვა მარაგები	128,223	50,742
სულ მარაგები	**1,170,832**	**1,735,421**

2024 წლის განმავლობაში მარაგები ძირითადი მასალების სახით 6,916,284 ლარის თვითღირებულებით, (2023: 7,898,706 ლარი) აღიარდა გაწეული სამუშაოების და რეალიზირებული პროდუქციის თვითღირებულებაში (იხილეთ შენიშვნა 4).

11. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
* სავაჭრო მოთხოვნები იურიდიული პირების მიმართ	1,528,994	1,214,301
** მოთხოვნები სამშენებლო კონტრაქტებიდან	903,425	1,785,608
***დამკვეთისაგან მისაღები დაკავებული საგარანტიო თანხები დასრულებულ პროექტებზე	971,504	994,612
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	11,914	3,462
სავაჭრო მოთხოვნები რეზერვებამდე	**3,415,837**	**3,997,983**
საეჭვო მოთხოვნების ანარიცხი	(1,059,109)	(1,020,216)
სავაჭრო მოთხოვნები რეზერვების შემდგომ	**2,356,728**	**2,977,767**
გადახდილი ავანსები	557,808	408,165
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	**2,914,536**	**3,385,932**

*სავაჭრო მოთხოვნები მოიცავს მასალების რეალიზაციით დარიცხულ მოთხოვნებს, საიჯარო მომსახურების გაწევისა და სხვა მოთხოვნებს.

** დამკვეთებისაგან მისაღები თანხები მოიცავს თანხებს, რომლებიც კომპანიას უკავდება კონტრაქტის საგარანტიო ვადის გასვლამდე.

2024 წლის საეჭვო მოთხოვნების ანარიცხი

ვადაგაცილებული დღეები	< 30	31-90	91-180	181-360	>360	სულ
ვადაგაცილების დღეების რეზერვის პროცენტულობა	0%	5%	25%	50%	100%	-
მოთხოვნები	215,069	207,409	35,475	62,339	1,008,702	**1,528,994**
გაუფასურება	-	(10,370)	(8,869)	(31,169)	(1,008,702)	**(1,059,111)**
სულ წმინდა მოთხოვნები	**215,069**	**197,039**	**26,606**	**31,169**	**-**	**469,883**

2023 წლის საეჭვო მოთხოვნების ანარიცხი

ვადაგაცილებული დღეები	< 30	31-90	91-180	181-360	>360	სულ
ვადაგაცილების დღეების რეზერვის პროცენტულობა	0%	5%	25%	50%	100%	-
მოთხოვნები	140,324	13,877	18,765	53,009	988,326	**1,214,301**
გაუფასურება	-	(694)	(4,691)	(26,505)	(988,326)	**(1,020,216)**
სულ წმინდა მოთხოვნები	**140,324**	**13,183**	**14,074**	**26,504**	**-**	**194,085**

12. ფული და ფულის ექვივალენტები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ფული სალაროში	3,175	18,833
ფული ლარში მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე	1,102,732	418,729
ფული საბანკო ანგარიშზე უცხოურ ვალუტაში	5	29
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	**1,105,912**	**437,591**

მოთხოვნამდე ანაბარი განთავსებული იყო „სს ბაზის ბანკში“ ეროვნულ ვალუტაში. დეპოზიტზე მიღებულმა შემოსავალმა 2024 წლის განმავლობაში შეადგინა 5 ლარი (2023: 831 ლარი).

საბანკო დეპოზიტის საპროცენტო განაკვეთი განისაზღვრება წლიური 2.75%-ით და ერიცხება პროცენტი დღის ბოლოს ასებულ ნაშთზე ყოველდღიურად.

13. საწესდებო კაპიტალი

კომპანიის პარტნიორთა გადაწყვეტილების თანახმად, საწესდებო კაპიტალი განისაზღვრა 1,070,349 ლარით, რომელიც შევსებულია მფლობელთა შენატანებით კომპანიის მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტზე გადასვლის თარიღამდე.

დამფუძნებელთა კრების გადაწყვეტილებით კომპანიამ 2024 წლის განმავლობაში დივიდენდად გამოაცხადა და გასცა 3,320,118 ლარი (2023: 2,858,345 ლარი).

14. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სავაჭრო ვალდებულებები	1,196,395	1,807,224
გადასახდელი ხელფასები	212,277	242,070
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	**1,408,672**	**2,049,294**

სავაჭრო ვალდებულებების ნაშთი შედგება შესყიდულ მასალებზე მომწოდებლებისათვის გადასახდელი თანხებისაგან, საოპერაციო იჯარების დავალიანებებისგან და სხვა გადასახდელებისგან.

15. მიღებული სესხები

კომპანიამ 2024 წლის განმავლობაში ჯამურად აიღო 1,970,000 ლარი სესხი სს ბაზისბანკისგან, საპროცენტო განაკვეთი 10.5%-13.5%, სესხის დაფარვის ვადა არის 2029 წელი. ამ სესხის უზრუნველყოფაში გამოყენებულია კომპანიის საინვესტიციო ქონების 100% და ძირითადი საშუალებები.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მიერ მიღებული სესხები შედგება შემდეგი კომპონენტებისგან:

სესხები	დაწყების თარიღი	დასრულების თარიღი	საპროცენტო განაკვეთი	ძირის გადახდის პირობა	პროცენტის გადახდის პირობა	ვალუტა	თანხა
სს ბაზისბანკი 3	9/29/2023	3/31/2025	12.5%	ყოველთვიურად	ყოველთვიურად	ლარი	17,872
სს ბაზისბანკი 4	2/1/2023	2/3/2025	13.5%	ყოველთვიურად	ყოველთვიურად	ლარი	28,134
სს ბაზისბანკი 6	1/15/2024	1/15/2029	12%	ყოველთვიურად	ყოველთვიურად	ლარი	66,619
სს ბაზისბანკი 7	1/22/2024	12/22/2027	10.5%	ყოველთვიურად	ყოველთვიურად	ლარი	66,135
სს ბაზისბანკი 8	3/7/2024	12/22/2027	11.5%	ყოველთვიურად	ყოველთვიურად	ლარი	97,582
სს ბაზისბანკი 9	10/11/2024	10/11/2028	10.5%	ყოველთვიურად	ყოველთვიურად	ლარი	131,182
სს ბაზისბანკი 10	10/18/2024	10/18/2028	10.5%	ყოველთვიურად	ყოველთვიურად	ლარი	80,265
სს ბაზისბანკი 11	10/22/2024	10/23/2028	10.5%	ყოველთვიურად	ყოველთვიურად	ლარი	144,693
სს ბაზისბანკი 12	11/4/2024	10/4/2027	10.5%	ყოველთვიურად	ყოველთვიურად	ლარი	161070
სულ მიღებული სესხები							**793,552**
სესხის ძირი							793,552
სულ გადასახდელი პროცენტი							3,918
სულ სესხები							**797,470**

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მიერ მიღებული სესხები შედგება შემდეგი კომპონენტებისგან:

სესხები	დაწყების თარიღი	დასრულების თარიღი	საპროცენტო განაკვეთი	ძირის გადახდის პირობა	პროცენტის გადახდის პირობა	ვალუტა	თანხა
სს ბაზისბანკი 3	9/29/2023	3/31/2025	12.5%	ყოველთვიურად	ყოველთვიურად	ლარი	84,617
სს ბაზისბანკი 4	2/1/2023	2/3/2025	13.5%	ყოველთვიურად	ყოველთვიურად	ლარი	183,078
სს ბაზისბანკი 5	6/1/2023	6/3/2024	13%	ყოველთვიურად	ყოველთვიურად	ლარი	67,093
სულ მიღებული სესხები							**334,788**
სესხის ძირი							334,788
სულ გადასახდელი პროცენტი							1,118
სულ სესხები							**335,906**

16. წმინდა საგადასახადო პოზიცია

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას აქვს წმინდა საგადასახადო ვალდებულება 129,665 ლარის ოდენობით (2023: წმინდა საგადასახადო აქტივი 22,319 ლარის ოდენობით).

17. ფინანსური რისკების შესახებ და მათი სამართლიანი ღირებულება

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულების შეფასების მიზანია მაქსიმალურად ზუსტი ფასის განსაზღვრა, რომელიც მიღებული იქნება აქტივის გაყიდვისგან ან გადახდილი იქნება ვალდებულების გადაცემისთვის ნორმალური ოპერაციების ფარგლებში ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების თარიღისას, თუმცა, შეფასების სუბიექტურობიდან გამომდინარე, სამართლიანი ღირებულება არ უნდა იყოს ინტერპრეტირებული, როგორც შესრულებადი აქტივის დაუყოვნებლივ გაყიდვისას ან ვალდებულებების გადაცემისას, კომპანიამ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება განსაზღვრა შეფასების მეთოდის გამოყენებით, შეფასების მეთოდის მიზანია სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა, რომელიც ასახავს ფასს, რომელიც მიღებული იქნება აქტივის რეალიზაციიდან ან გადახდილი იქნება ვალდებულების გადასაცემად ბაზრის მონაწილეებს შორის ნორმალური ოპერაციების ფარგლებში შეფასების თარიღით, შეფასების გამოყენებული მეთოდია დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელი, ყველა ფინანსური აქტივისა და ვალდებულების რეალური ღირებულების გამოთვლა ხდება მომავალი ძირითადი და საპროცენტო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების საფუძველზე, დისკონტირებული ანგარიშგების თარიღისთვის არსებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები არ განსხვავდება მათი რეალური ღირებულებებისგან. ქვემოთ მოცემული ყველა ფინანსური აქტივი დავალდებულება მიეკუთვნება I კატეგორიას გარდა ინვესტიციები ფასიან ქაღალდებში რომელიც მიეკუთვნება III კატეგორიას.

(ბ)ფინანსური რისკები

საოპერაციო, საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობების განხორციელებისას, კომპანია ექვემდებარება შემდეგ ფინანსურ რისკებს:

- საკრედიტო რისკი: ალბათობა, რომ მსესხებელი/დებიტორი ვერ შეძლებს გადაიხადოს მთლიანი სესხი/დავალიანება ან მისი ნაწილი, ან ვერ შეძლებს სესხის დროულად დაფარვას, რაც გამოიწვევს ზარალს კომპანიისთვის.
- ლიკვიდურობის რისკი: რისკი რომ კომპანიას არ ექნება, ან ვერ ამოიღებს ნაღდ ფულს საჭირო დროს და ამის შედეგად აღმოჩნდება სირთულეების წინაშე ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულების თვალსაზრისით.
- საბაზრო რისკი: რისკი, რომ საბაზრო ფასების ცვალებადობის შედეგად შეიცვლება ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება ან ფულადი სახსრების მომავალი ნაკადები სამართლიანი ღირებულების თვალსაზრისით. ძირითადად, კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკის ორ კომპონენტს:
    - საპროცენტო რისკი
    - სავალუტო რისკი

  კომპანიის ხელმძღვანელობა რისკების მართვას ახორციელებს კომპანიის საოპერაციო ერთეულებთან თანამშრომლობით. კომპანია რისკების საერთო მართვის თაობაზე იყენებს წინასწარ დადგენილ პოლიტიკას.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ნაშთები კატეგორიების მიხედვით:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ფინანსური აქტივები		
ფული და ფულის ექვივალენტები	1,105,912	437,591
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,914,536	3,385,932
სულ ფინანსური აქტივები	**4,020,448**	**3,823,523**
ფინანსური ვალდებულებები		
კრედიტორული დავალიანება	1,408,672	2,049,294
მიღებული სესხები	797,470	335,906
სულ ფინანსური ვალდებულებები	**2,206,142**	**2,385,200**

საკრედიტო რისკი

კომპანია საკრედიტო რისკის საფრთხეს აკონტროლებს ინდივიდუალურ მომხმარებლებზე ლიმიტების დაწესებით. მომხმარებლის საკრედიტო ლიმიტების დაწესების დროს გამოიყენება სხვადასხვა სააგენტოები, მომხმარებლის საცხოვრებელი ქვეყნის მიხედვით.

არ შეინიშნება საკრედიტო რისკების მნიშვნელოვანი კონცენტრაცია, რადგან ძირითად ფინანსურ აქტივებს წარმოადგენს ფული და ფულის ექვივალენტები.

კომპანიის მაქსიმალური საკრედიტო რისკი მოცემულია შემდეგ ცხრილში:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ფული და ფულის ექვივალენტები	1,105,912	437,591
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,914,536	3,385,932

როგორც შენიშვნა მე-7 განმარტავს, ფული და ფულის ექვივალენტის ბალანსი აღნიშნავს საბანკო ანგარიშზე არსებულ ნაშთსა და მოკლევადიან საბანკო დეპოზიტებს.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება

კომპანია იყენებს გაუფასურების 3 დონიან მოდელს რომელიც დაფუძნებულია ფინანსური აქტივის საწყისი აღიარების შემდგომ მისი საკრედიტო რისკის ხარისხის ცვლილებაზე, რომელიც ჩამოთვლილია ქვემოთ:

- ფინანსური ინსტრუმენტი რომელიც არ არის გაუფასურებული საწყისი აღიარებისას კლასიფიცირდება როგორც I დონე და მისი საკრედიტო რისკი განგრძობითად კონტროლირებადია კომპანიის მიერ.
- თუ საწყისი აღიარების შემდგომ დაფიქსირდა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა, მაშინ ფინანსური ინსტრუმენტი გადადის II დონეში მაგრამ ამ ეტაპზე არ მიიჩნევა გაუფასურებულად.
- თუ ფინანსური ინსტრუმენტი გაუფასურებულია მაშინ ის გადადის III დონეში.
- I დონის ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის პროპორციული წილი მომდევნო 12 თვეში მოსალოდნელი მოვლენებისა. ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი II და III დონისთვის გამოითვლება როგორც არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი.

ქვემოთ მოცემული ცხრილი ასახავს კომპანიისს მიერ გამოყენებულ გაუფასურების მეთოდს.

I დონე	**II დონე**	**III დონე**
(საწყისი აღიარება)	(საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა საწყისი აღიარების შემდეგ)	(გაუფასურებული აქტივი)
12-თვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	არსებობის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ხარჯი	არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი

კომპანია ფინანსური ანგარიშგების ყველა ფინანსურ აქტივს, გარდა სავაჭრო მოთხოვნებისა, ასახავს I დონეში როგორც 2023 წლის დასაწყისში ასევე 2023 წლის ბოლოს.

სავაჭრო მოთხოვნებისთვის კომპანია იყენებს გამარტივებულ მიდგომას რომელიც დაფუძნებულია ვადაგადაცილბულ დღეებზე. კომპანიას აქვს 5 ვადაგადაცილების. დონე. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი პროცენტი დაფუძნებულია კომპანიის საოპერაციო სექტორსა და მის წარსულ გამოცდილებაზე.

დებიტორული დავალიანებებს კომპანია მართავს ვადაგადაცილების დღეების მიხედვით. ფინანსურ ანგარიშგებაში დებიტორული დავალიანებების გაუფასურების რეზერვი შექმნილია ქვემოთ მოცემული ცხრილის შესაბამისად:

ვადაგადაცილებული დღეები	< 30	31-90	91-180	181-360	>361+
დარეზერვების პროცენტულობა	0%	5%	25%	50%	100%

ზარალის ანარიცხი ითვლება მოცემული საფუძვლებიდან ერთ-ერთით. ა) 12 თვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი - თუ ფინანსური ინსტრუმენტის საკრედიტო რისკი მისი საწყისი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვან ზრდას არ განიცდის. ბ) არსებობის მანძილზე არსებული საკრედიტო ზარალი - თუ ფინანსური ინსტრუმენტის საკრედიტო რისკი მისი საწყისი აღიარების შემდეგ განიცდის მნიშვნელოვან ზრდას.

ლიკვიდურობის რისკი - ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი

კომპანია ლიკვიდურობის რისკს მართავს მოსალოდნელ ვადიანობაზე დაყრდნობით.

2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის ფინანსური ვალდებულებების დარჩენილი (სახელშეკრულებო ვალდებულებების სახელშეკრულებო და არადისკონტირებული ფულადი ნაკადები) შესრულების ვადა იყო ერთი წელი.

ლიკვიდურობის რისკი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობთ წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	1 წლამდე	1 წლიდან 3 წლამდე	3 წლიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები					
ფული და ფულის ექვივალენტები	1,105,912	-	-	-	1,105,912
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,914,536	-			2,914,536
სულ ფინანსური აქტივები	**4,020,448**	**-**	**-**	**-**	**4,020,448**
ფინანსური ვალდებულებები					
კრედიტორული დავალიანება	1,408,672				1,408,672
მიღებული სესხები	253,455	453,838	90,177		797,470
სულ ფინანსური ვალდებულებები	**1,662,127**	**453,838**	**90,177**		**2,206,142**
ლიკვიდურობის პოზიცია	**2,358,321**	**(453,838)**	**(90,177)**		**1,814,306**

ლიკვიდურობის რისკი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობთ წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	1 წლამდე	1 წლიდან 3 წლამდე	3 წლიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები					
ფული და ფულის ექვივალენტები	437,591	-	-	-	437,591
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3,385,932	-			3,385,932
სულ ფინანსური აქტივები	**3,823,523**	**-**			**3,823,523**
ფინანსური ვალდებულებები					
კრედიტორული დავალიანება	2,049,294				2,049,294
მიღებული სესხები	335,906				335,906
სულ ფინანსური ვალდებულებები	**2,385,200**	**-**	**-**		**2,385,200**
ლიკვიდურობის პოზიცია	**1,438,323**	**-**	**-**		**1,438,323**

კომპანია არ დგას მნიშვნელოვანი ლიკვიდურობის რისკის წინაშე, მისი ფინანსური აქტივები მოკლევადიან და გრძელვადიან პერიოდში სრულად ფარავს კომპანიის სავაჭრო ვალდებულებებს.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

კომპანიას საპროცენტო რისკის საფრთხე ემუქრება მხოლოდ იმ ფინანსურ აქტივებთან მიმართებაში, რომლებზეც მოქმედებს ფიქსირებული განაკვეთი. ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე

ფინანსური აქტივების სამართლიან ღირებულებაზე საპროცენტო განაკვეთების ცვლილების ზეგავლენა შეფასდა, როგორც უმნიშვნელო.

საპროცენტო განაკვეთის რისკთან დაკავშირებული ინფორმაცია წარმოდგენილია ქვემოთ:

წლიურ %-ში	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
მიღებული სესხები (ლარში)	10.5%-13.5%	13%-13.5%

სავალუტო რისკი

უცხოური ვალუტით დენომინირებული აქტივები (საბანკო ბალანსები, დეპოზიტები, ფასიანი ქაღალდები და დებიტორული დავალიანება) და ვალდებულებები (გადასახდელები) იწვევენ სავალუტო რისკს. კომპანიას არ აქვს ფორმალური პროცედურები სავალუტო რისკის მართვასთან მიმართებაში, თუმცა ხელმძღვანელობა საკუთარ თავს მიიჩნევს კარგად ინფორმირებულად ეკონომიკაში მიმდინარე მოვლენების შესახებ და მათ გადადგეს გარკვეული ნაბიჯები სავალუტო რისკის შესამცირებლად. ეს ნაბიჯები ძირითადად გულისხმობს სავალუტო დეპოზიტების განხორციელებას.

ფინანსური აქტივები ვალუტის მიხედვით

ფინანსური აქტივები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გაანალიზებული უცხოური ვალუტების მიხედვით:

	ფული და ფულის ექვივალენტები	სულ
ევრო	5	5
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**5**	**5**

ფინანსური აქტივები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გაანალიზებული უცხოური ვალუტების მიხედვით:

	ფული და ფულის ექვივალენტები	სულ
აშშ დოლარი	769	769
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**769**	**769**

18. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარე არის პიროვნება ან საწარმო, დაკავშირებული იმ ორგანიზაციისთან, რომელიც ამზადებს ფინანსურ ანგარიშგებას (ზემოაღნიშნული საწარმო წინამდებარე სტანდარტში მოიხსენიება როგორც „ანგარიშვალდებული საწარმო”).

ა) პიროვნება ან მისი ახლო ნათესავი მიიჩნევა ანგარიშვალდებული ორგანიზაციისთვის დაკავშირებულ მხარედ, თუ:

(I) ეს პიროვნება აკონტროლებს ან ერთობლივად აკონტროლებს ანგარიშვალდებულ ორგანიზაციის; ან

(II) მას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ანგარიშვალდებულ საწარმოზე; ან

(III) არის ანგარიშვალდებული ორგანიზაციის ან მისი სათავო ორგანიზაციის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი.

ბ) საწარმო მიიჩნევა ანგარიშვალდებული ორგანიზაციისთვის დაკავშირებულ მხარედ, თუ შემდეგი პირობებიდან რომელიმე არსებობს:

(I) ეს საწარმო და ანგარიშვალდებული საწარმო არიან ერთი და იმავე ჯგუფის წევრები (რაც იმას ნიშნავს, რომ სათავო საწარმო, შვილობილი საწარმო და იმავე სათავო ორგანიზაციის სხვა შვილობილი საწარმოები ერთმანეთთან არიან დაკავშირებულები);

(II) ერთ-ერთი საწარმო არის მეორის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საწარმო (ან იმ ჯგუფის რომელიმე წევრის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საწარმო, რომლის წევრიც არის მეორე საწარმო);

(III) ორივე საწარმო წარმოადგენს ერთი და იმავე მესამე მხარის ერთობლივ ორგანიზაციის;

(IV) ერთი საწარმო არის რომელიმე მესამე მხარის ერთობლივი საქმიანობა, ხოლო მეორე საწარმო იმავე მესამე მხარის მეკავშირე საწარმოა;

(V) ეს საწარმო არის ან ანგარიშვალდებული ორგანიზაციის, ან ანგარიშვალდებულ ორგანიზაციისთან დაკავშირებული რომელიმე მხარის დაქირავებულ მომუშავეთა შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოების პროგრამის განმახორციელებელი.

თუ ანგარიშვალდებული საწარმო თვითონ არის ამგვარი პროგრამის განმახორციელებელი, სპონსორი დამქირავებლებიც ანგარიშვალდებული ორგანიზაციისთვის დაკავშირებულ მხარეებად მიიჩნევა;

(VI) ამ ორგანიზაციის აკონტროლებს ან ერთობლივად აკონტროლებს (ა) პუნქტში მითითებული რომელიმე პიროვნება;

(VII) (ა) (ი) პუნქტში მითითებულ რომელიმე პიროვნებას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ამ საწარმოზე, ან ეს პიროვნება არის ზემოაღნიშნული ორგანიზაციის (ან მისი სათავო ორგანიზაციის) უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი;

(VII) ეს საწარმო, ან იმავე ჯგუფში შემავალი სხვა საწარმო, რომელსაც მოცემული საწარმო განეკუთვნება, ანგარიშვალდებულ ორგანიზაციის, ან ანგარიშვალდებული ორგანიზაციის სათავო ორგანიზაციისთვის ასრულებს მმართველობით მომსახურებას.

კომპანიის 50%-იან წილს ფლობს შოთა აბულაძე, ხოლო ნუგზარ და ნუკრი აბალაკები 25-25%-ს.

	2024	2023
ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან		
შემოსავლები	-	115,733
მარაგების შეძენები და ხარჯები	35	103,405

ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან	**31 დეკემბერი 2024**	**31 დეკემბერი 2023**
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	370,889	206,614
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	244,550	679,786

ხელმძღვანელობის ანაზღაურებამ 2024 წელს შეადგინა 315,000 ლარი (2023: 281,250 ლარი).

19. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ განვითარებული მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ადგილი არ ჰქონია მნიშვნელოვან მოვლენებს.

მმართველობის ანგარიშგება
2024 საანგარიშო წლის საქმიანობის მიმოხილვა
დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრებასთან ერთად

შინაარსი

1. ზოგადი ინფორმაცია 5

1.1. კომპანიის შესახებ 5

1.2. დარგის მიმოხილვა 5

1.3. კომპანიის ფინანსური მდგომარეობა 5

1.4. ინფორმაცია კომპანიის ფილიალების შესახებ 6

1.5. ინფორმაცია კომპანიის მიერ წარმოებული კვლევების შესახებ 6

2. საწარმოს განვითარების პერსპექტივები და რისკები 6

2.1. მომავალი პერიოდების აქტივობები 6

2.2. საწარმოს საქმიანობასთან დაკავშირებული რისკის ძირითადი ფაქტორების აღწერილობა6

2.3. ფინანსური ანგარიშგების შედგენის პროცესთან დაკავშირებული რისკების შიდა კონტროლის და მართვის სისტემის მიმოხილვა 7

3. გარემოს დაცვა და ნარჩენების მართვა 8

4. სოციალური და დასაქმების საკითხები 9

RSM Georgia
85, Z Paliashvili Str.
Tbilisi 0162, Georgia
T +995 (32) 255 88 99
F +995 (32) 255 88 99
www.rsm.ge

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობაზე შპს „საგზაო სამშენებლო სამმართველო №1“-ის მფლობელებს და ხელმძღვანელობას

ჩვენ ჩავატარეთ თანდართული 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის საანგარიშგებო პერიოდის მმართველობის ანგარიშგების მიმოხილვა, რომელიც მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად (შემდგომში - „საკანონმდებლო მოთხოვნები“)

მმართველობის ანგარიშგების მომზადებასა და მის შესაბამისობაზე საკანონმდებლო მოთხოვნებთან პასუხისმგებელია კომპანიის მენეჯმენტი, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი მმართველობის ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ჩვენი პასუხისმგებლობაა მიმოვიხილოთ მმართველობის ანგარიშგება და გამოვთქვათ მოსაზრება, რამდენად შესაბამისობაშია მმართველობის ანგარიშგება საკანონმდებლო მოთხოვნებთან და რამნდენად თანხვედრილია 2024 წლის 31 დეკემბრით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან. იმ შემთხვევაში, თუ მმართველობის ანგარიშგება არ არის შესაბამისობაში საკანონმდებლო მოთხოვნებთან და თანხვედრილი ფინანსურ ანგარიშგებასთან ჩვენი პასუხისმგებლობაა, რომ განვაცხადოთ ამის შესახებ გამოცემულ დასკვნაში. ჩვენს მიერ შესრულებული სამუშაო შემოიფარგლება მხოლოდ: კომპანიის ხელმძღვანელობის და პერსონალის გამოკითხვით, ანალიტიკური პროცედურების ჩატარებით, მმართველობის და ფინანსური ანგარიშგებების შედარებით და თანხვედრილობის განსაზღვრით, და იმ დოკუმენტების მიმოხილვით, რაც მომზადდა იმისთვის, რომ კომპანია ყოფილიყო შესაბამისობაში საკანონმდებლო მოთხოვნებთან. ჩვენ არ განგვიხორციელებია რაიმე სახის მმართველობის ანგარიშგების მოსამზადებლად დანერგილი კონტროლის სისტემის სპეციალური მიმოხილვა, და არ გამოვთქვამთ რაიმე სახის მოსაზრებას მმართველობის ანგარიშგების მოსამზადებლად დანერგილი შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

ჩვენი ჩატარებული მიმოხილვის საფუძველზე, ჩვენი ყურადღება არ მიუქცევია ფაქტებს, რაც დაგვარწმუნებდა, რომ მმართველობის ანგარიშგება არ არის თანხვედრილი აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან არ არის შესაბამისი ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნებთან ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

შპს ,,არესემ საქართველოს“ სახელით

გარიგების პარტნიორი: გიორგი კვინიკაძე

2025 წლის 30 ივლისი

ჩვენი ჩატარებული მიმოხილვის საფუძველზე, ჩვენი ყურადღება არ მიუქცევია ფაქტებს, რაც დაგვარწმუნებდა, რომ მმართველობის ანგარიშგება არ არის თანხვედრილი აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან არ არის შესაბამისი ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნებთან ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

შპს „არესემ საქართველოს“ სახელით

გარიგების პარტნიორი: გიორგი კვინიკაძე

2025 წლის 30 ივლისი

1. ზოგადი ინფორმაცია

1.1. კომპანიის შესახებ

შეზღუდული პასუხისმგებლობის ორგანიზაცია „№1 საგზაო-სამშენებლო სამმართველო“ დაფუძნდა 1995 წელს. 1998 წლის 8 მაისს განხორციელდა აღნიშნული ორგანიზაციის პრივატიზაცია და დღეის მდგომარეობით მას ეწოდება შპს „საგზაო სამშენებლო სამმართველო №1“. კომპანია დარეგისტრირებულია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 პუნქტის თანახმად.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენენს საგზაო ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, მათ შორის: გზების, ხიდების, ნაპირგამაგრებითი ნაგებობების მოდერნიზაცია და რეაბილიტაცია, გზების პერიოდული რემონტი და შენახვა. ძირითადი დამკვეთი არის სსიპ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი.

კომპანიის იურიდიული მისამართი: ა ქ. გორი, შინდისის გზატკეცილი მე-2 კმ.

კომპანიის აქციონერთა სტრუქტურა შემდეგნაირია:

50% – შოთა აბულაძე (პ.ნ. 59001000749);

25% – ნუგზარ აბალაკი (პ.ნ. 59001023356);

25% – ნუკრი აბალაკი (პ.ნ. 59001002755).

1.2. დარგის მიმოხილვა

დარგის ეკონომიკური სიტუაცია მნიშვნელოვან ზრდას განიცდის. ამის ხელშემწყობი ფაქტორია ქვეყნის ხედვა, განავითაროს ინფრასტრუქტურა. წლიდან წლამდე იზრდება სახელმწიფოს მხრიდან ინფრასტრუქტურულ პროექტებზე გამოცხადებული ტენდერების რაოდენობა. გამომდინარე აქედან, ბაზარი არის ძალიან დიდი. ტენდერში მონაწილეობა არის გართულებული, მაღალია კონკურენცია. ითხოვენ გარკვეულ პირობებს, რომლებიც არც ისე იოლია კომპანიისთვის. არის სპეციფიკური გამოცდილების მოთხოვნა.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საქართველოს მასშტაბით დაგეგმილ ინფრასტრუქტურულ პროექტებში მონაწილეობა.

კომპანია არის ტენდერების თეთრ სიაში, რომელიც გულისხმობს კომპანიისთვის გარკვეულწილ შეღავათებს. კომპანია ბაზარზე ფუნქციონირებს 25 წელი, აქედან გამომდინარე კომპანიას დაუგროვდა დიდი გამოცდილება ამ სფეროში, განხორციელებული გვაქვს ძალიან ბევრი ქვეყნისთვის სასარგებლო პროექტი.

1.3. კომპანიის ფინანსური მდგომარეობა

კომპანიას გააჩნია მდგრადი ფინანსური მდგომარეობა. მტკიცე საგადამხდელო დისციპლინა. ფინანსური მდგრადობა დაკავშირებულია სხვადასხვა მაჩვენებლებთან:

საიმედო მონაცემებთან, რომელიც მნიშვნელოვანია მოხმარებისთვის და სარგებლიანი ინფორმაციისთვის, გადაწყვეტილებების მიღებისა და შედეგისათვის. ინფორმაცია კომპანიას ყოველთვის აქვს სრული, დროული, ზუსტი. კომპანიის წინდახედული და სამართლიანი მიდგომებისა და შეფასებების ჩამოყალიბებით, ასევე ფინანსური რესურსების მიზნობრივი და ეფექტური გამოყენება კომპანიის მდგრადობის ხელშემწყობია. აღნიშნული ვლინდება სექტორის სხვა კომპანიებთან ურთიერთობის, მაკონტროლებელი ორგანოებისა და აუდიტის ანალიზის შედარებაზე დაყრდნობით.

1.4. ინფორმაცია კომპანიის ფილიალების შესახებ

კომპანია არ ფლობს ფილიალებს.

1.5. ინფორმაცია კომპანიის მიერ წარმოებული კვლევების შესახებ

კომპანიას 2024 წლის განმავლობაში არ უწარმოებია კვლევები.

2. საწარმოს განვითარების პერსპექტივები და რისკები

2.1. მომავალი პერიოდების აქტივობები

საწარმოს განვითარების ძირითადი პერსპექტივებია:

- საწარმოს შემოსავლების ზრდა;
- საწარმოს მომსახურების საიმედოობისა და ხარისხის ამაღლება;
- მანქანა-დანადგარებისა და სატრანსპორტო საშუალებების განახლება.

საწარმომ 2024 წლის განმავლობაში შეიძინა და ექსპლუატაციაში გაუშვა ექსკავატორ დამტვირთველი - 193 023 ლარის, 9 თვითმცლელი ჰოვო - 1 404 662 ლარის, სატკეპნი მანქანები - 136 485 ლარის, შესყიდვის ღირებულებამ ჯამში შეადგინა 1 734 170 ლარი.

2.2. საწარმოს საქმიანობასთან დაკავშირებული რისკის ძირითადი ფაქტორების აღწერილობა

კომპანიის საქმიანობაში შესაძლო რისკებს, რომლებმაც შესაძლებელია ზეგავლენა მოახდინოს კომპანიის საქმიანობაზე, წარმოადგენს: დარგობრივი რისკები. დარგობრივ რისკებს შეიძლება მიეკუთვნოს:

- ეკოლოგიური რისკები;
- სატრანსპორტო რისკები;
- პოლიტიკური რისკები;
- კონკურენციის გაძლიერების რისკები;
- სამეურნეო ხელშეკრულებების შეუსრულებლობის რისკები;
- ტექნიკური რისკები.

ქვეყნის და რეგიონალური რისკები: ქვეყანასა და რეგიონთან დაკავშირებულ რისკებს მიეკუთვნება რისკები, რომლებიც დაკავშირებულია საქართველოს კანონმდებლობის, საგადასახადო პოლიტიკის, სახელმწიფო რეგულირების პირობების შეცვლასთან.

ფინანსური რისკები: თავისი საქმიანობის პროცესში საზოგადოება ექვემდებარება ფინანსური რისკის სხვადასხვა ფაქტორებს, უცხოური ვალუტის კურსის, საპროცენტო განაკვეთების ცვლილების ზეგავლენის, გადახდის უნარიანობის და ფინანსური მდგრადობის რისკის ჩათვლით.

ინფლაცია და სავალუტო რისკი: კომპანია ექვემდებარება სავალუტო რისკს შესყიდვებსა და კრედიტებთან დაკავშირებით, რომლებიც გამოხატულია ლარისაგან განსხვავებულ ვალუტაში.

საპროცენტო განაკვეთების ცვლილებებთან დაკავშირებული რისკები: შემოსავალი და საოპერაციო ნაღდი ფულადი სახსრების მოძრაობა, არსებითად, არ არის დამოკიდებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთების ცვლილებებზე. საწარმო ექვემდებარება საპროცენტო განაკვეთის რისკს საპროცენტო განაკვეთის მქონე გრძელვადიანი კრედიტების საბაზრო ღირებულების მერყეობის გამო.

გადახდისუნარიანობის და ფინანსური მდგრადობის დაკარგვასთან დაკავშირებული რისკები: გადახდისუნარიანობის და ფინანსური მდგრადობის დაკარგვის რისკის ძირითად ფაქტორს, რომელიც ზეგავლენას ახდენს საწარმოს ლიკვიდურობაზე წარმოადგენს კრედიტორების, მეწილეების და სხვა კონტრაგენტების წინაშე შპს „საგზაო სამშენებლო სამმართველო №1“-ს მიერ თავისი ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობის არარსებობა.

სამართლებრივი რისკები: სამართლებრივი რისკები შეიძლება წარმოიქმნას საგადასახადო სფეროში, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობაში სახელმწიფო რეგულირების ცვლილების შედეგად.

დარგობრივ რისკებთან ერთად საგულისხმოა, ასევე მიმდინარე კორონავირუსის პანდემია, მისით გამოწვეული ეკონომიკური აქტივობის შენელება და მისი პოტენციური ეფექტები კომპანიის სამომავლო საქმიანობაზე.

კორონავირუსმა მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა მრავალი ადამიანის სიცოცხლეს მთელი მსოფლიოს მასშტაბით, გამოიწვია ლოჯისტიკური ჯაჭვებისა და როგორც შიდა, აგრეთვე საგარეო მოთხოვნის მნიშვნელოვანი შემცირება. ამასთანავე, ამ მოვლენამ გაზარდა სამომავლო რისკის განუსაზღვრელობის და მისი არიდების/შემცირების ტენდენციები. პანდემიასთან დაკავშირებული, არსებული, ადგილობრივი და გლობალური მოვლენების მიხედვით გავითვალისწინეთ სამომავლო რისკები კომპანიისათვის.

კომპანიის საოპერაციო სფეროსა და იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ კომპანიის საქმიანობის ძირითად მიმართულებას წარმოადგენს სახელმწიფო მნიშვნელოვნების სამშენებლო კონტრაქტები, მენეჯმენტის შეფასებით პანდემიის ფონზე კომპანიას არ შეექმნება ფუნქციონირებადობის პრობლემები და განაგრძობს ფუნქციონირებას.

2.3. ფინანსური ანგარიშგების შედგენის პროცესთან დაკავშირებული რისკების შიდა კონტროლის და მართვის სისტემის მიმოხილვა

რისკების შიდა კონტროლის და მართვის სისტემა, რომელიც დაკავშირებულია ფინანსური ანგარიშგების შედგენის პროცესთან, შედგება რამდენიმე ეტაპისგან:

საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების უტყუარი ფორმირების უზრუნველყოფის კონტროლი, რომელიც შეესაბამება შემდეგ მოთხოვნებს:

არსებობა და წარმოქმნა – აქტივები, ვალდებულებების და საკუთრების უფლებები არსებობს ანგარიშგების თარიღისთვის და ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშებზე ოპერაციები ასახავს მოვლენებს, რომელთაც ნამდვილად ჰქონდათ ადგილი საანგარიშო პერიოდში, გარდა 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის მოდიფიცირებულ მოსაზრებაში ასახული მოვლენებისა.

უფლებები და ვალდებულებები – კომპანია უფლებამოსილია ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ აქტივებზე და პასუხისმგებელია ფინანსურ ანგარიშგებაში საანგარიშო თარიღისთვის ასახულ პასივებზე, გარდა 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის მოდიფიცირებულ მოსაზრებაში ასახული მოვლენებისა.

შეფასება და განაწილება – ყველა აქტივი, პასივი, შემოსავალი და გასავალი ასახულია ბუღალტრულ აღრიცხვაში და ფინანსურ ანგარიშგებაში კორექტულ შეფასებაში და ბუღალტრული აღრიცხვის მოქმედი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, გარდა 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის მოდიფიცირებულ მოსაზრებაში ასახული მოვლენებისა.

სიზუსტე – ყველა ოპერაცია დათვლილია, დაჯამებული და ასახულია ბუღალტრულ აღრიცხვაში და ფინანსურ ანგარიშგებაში სწორად – არითმეტიკულად ზუსტი ციფრებით და პირველადი სააღრიცხვო დოკუმენტაციის შესაბამისად, გარდა 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის მოდიფიცირებულ მოსაზრებაში ასახული მოვლენებისა.

წარდგენა – ფინანსური ანგარიშგების მუხლები აღწერილია სათანადოდ, კლასიფიცირებული და გახსნილია, გარდა 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის მოდიფიცირებულ მოსაზრებაში ასახული მოვლენებისა.

3. გარემოს დაცვა და ნარჩენების მართვა

გარემოს დაცვითი კანონმდებლობის შესახებ კომპანია ახორციელებს თვითკონტროლსა და თვითმონიტორინგს. მონიტორინგის სისტემა წარმოადგენს გარემოს მდგომარეობაზე დაკვირვებით მიღებული ინფორმაციის ანალიზსა და პროგნოზირების ერთობლიობას. საწარმოს მიერ მონიტორინგის ორგანიზება წარმოადგენს შემდეგი ამოცანების გადაჭრას:

საწარმოს ექსპლუატაციის დროს მოქმედი გარემოსდაცვითი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესრულება;

- რისკების თავიდან აცილება და მოსალოდნელი მავნე ზემოქმედების კონტროლი;
- დაინტერესებული პირების უზრუნველყოფა სათანადო გარემოსდაცვითი ინფორმაციით;
- ნეგატიური ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების განსაზღვრა.

გამუდმებით ვცდილობთ თავიდან ავიცილოთ, მინიმუმამდე შევამციროთ და შევარბილოთ ჩვენი საქმიანობით გამოწვეული ზემოქმედება გარემოზე.

4. სოციალური და დასაქმების საკითხები

შესასრულებელი პროექტების და საწარმოს წარმატებით ფუნქციონირებისათვის მნიშვნელოვანია მომუშავე პერსონალი. პერსონალთან მუშაობა იწყება მიღების დღიდან. პირველ რიგში ვაცნობთ საწარმოს შიდა განაწესს, თანამდებობრივ ინსტრუქციას, უსაფრთხოების წესებს და სამსახურში მიღება ხდება საგამოცდო ვადით. საწარმოში ანაზღაურება გვაქვს საათობრივი, დღიურად, შესრულებული ერთეულის მიხედვით და სარგო. აღნიშნული სისტემა შემუშავებულია წინა პერიოდების გამოცდილებით და ემსახურება პერსონალის მოტივაციის გაზრდას, სამართლიან ანაზღაურებას და საბოლოო ჯამში სამუშაოს ხარისხიანად და დროულად შესრულებას. მკაცრად ხდება შრომის კოდექსით მოთხოვნილი პირობების დაცვა. მუშაკს მოეთხოვება მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულება, მისი დარღვევისთვის სასჯელი განსაზღვრულია გაფრთხილებიდან განთავისუფლებამდე. შპს „საგზაო სამშენებლო სამმართველო №1" ახორციელებს თანამშრომელთა სამუშაო ადგილზე ჯანმრთელობის და უსაფრთხოების ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებას, რაც გამოიხატება დასაქმებულებისათვის რეგულარული სემინარების ჩატარებით და საზოგადოების „შრომისა და უსაფრთხოების პოლიტიკის" ფარგლებში ყოველდღიური ინსპექტირების განხორციელებით.

შპს „საგზაო სამშენებლო სამმართველო №1"

30 ივლისი 2025 წელი

გენერალური დირექტორი	შოთა აბულაძე	_____
მთავარი ბუღალტერი	ზურა სამხარაძე	_____

გამუდმებით ვცდილობთ თავიდან ავიცილოთ, მინიმუმამდე შევამციროთ და შევარბილოთ ჩვენი საქმიანობით გამოწვეული ზემოქმედება გარემოზე.

4. სოციალური და დასაქმების საკითხები

შესასრულებელი პროექტების და საწარმოს წარმატებით ფუნქციონირებისათვის მნიშვნელოვანია მომუშავე პერსონალი. პერსონალთან მუშაობა იწყება მიღების დღიდან. პირველ რიგში ვაცნობთ საწარმოს შიდა განაწესს, თანამდებობრივ ინსტრუქციას, უსაფრთხოების წესებს და სამსახურში მიღება ხდება საგამოცდო ვადით. საწარმოში ანაზღაურება გვაქვს საათობრივი, დღიურად, შესრულებული ერთეულის მიხედვით და სარგო. აღნიშნული სისტემა შემუშავებულია წინა პერიოდების გამოცდილებით და ემსახურება პერსონალის მოტივაციის გაზრდას, სამართლიან ანაზღაურებას და საბოლოო ჯამში სამუშაოს ხარისხიანად და დროულად შესრულებას. მკაცრად ხდება შრომის კოდექსით მოთხოვნილი პირობების დაცვა. მუშაკს მოეთხოვება მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულება, მისი დარღვევისთვის სასჯელი განსაზღვრულია გაფრთხილებიდან განთავისუფლებამდე. შპს „საგზაო სამშენებლო სამმართველო №1" ახორციელებს თანამშრომელთა სამუშაო ადგილზე ჯანმრთელობის და უსაფრთხოების ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებას, რაც გამოიხატება დასაქმებულებისათვის რეგულარული სემინარების ჩატარებით და საზოგადოების „შრომისა და უსაფრთხოების პოლიტიკის" ფარგლებში ყოველდღიური ინსპექტირების განხორციელებით.

შპს „საგზაო სამშენებლო სამმართველო №1"

30 ივლისი 2025 წელი

გენერალური დირექტორი	შოთა აბულაძე	_____
მთავარი ბუღალტერი	ზურა სამხარაძე	_____